F567w/3402

Ყ. 3/77

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლრის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 13 (173)

ივლისი,

1967 წელი



ამოლოდინი...

დედა-სამშობლოს ამბები

სიახლე მეფოლადეთა შრომაში

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ყველა მეფოლადე ჩქარული მეთოდით მუშაობს. შარშან ყოველი ნადნობის ხანგრძლიობა საშუალოდ 15 წუთით შემცირდა, ხოლო წელს — კიდევ 20 წუთით. ტონაზე მეტი მოიმატა ლითონის აღებამ მარტენის ღუმელის კვ-დრატულ მეტრ ფართობზე.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მეფოლადეებმა მთლიანად გამოიყენეს რეზერვები. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ შრომის უფრო მაღალ ორგანიზაციის პირობებში შეიძლება მეტი ლითონის ბიღება.

დნობის მთელი პროცესი დაყოფილია ცხრა ოპერაციად. თითოეულ მათგანზე შეიძლება დავზოგოთ დრო. მაგალითად, მოწინავეები ღუმელის გაწყობას ათავსებენ ლითონის გამოშვებასთან. ამით ისინი 10 წუთს იგებენ.

ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად აქ შესრულდა კვლევითი მუშაობა ლითონის დნობის თითოეული ოპერაციისათვის ყველაზე ეფექტიანი თბური რეჟიმის გამოსათვლელად. დნობის ცხელი პროცესების შემცირება ძირითადად ხდება ღუმელის ალის უნარიანი მანევრირებით. ამასთან ჯაზში კარგად ხურდება და როცა თუჯს ეხება, სწრაფად დნება.

ჩქარული მუშაობის გამოცდილებასა და შრომის ორგანიზაციის ახალ მეთოდებს ყველა მეფოლადე ეუფლება. მოეწყო ლითონის დაჩქარებული დნობის სკოლა, საჩვენებელი დნობა ახალგაზრდა მემარტენეებისათვის.

სოხუმი. ბევრი რამ გაკეთდა კოლხეთის დაბლობებში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს მომავალში. აქ უნდა მოეწყოს სამელიორაციო სამუშაოები 90 ათას ჰექტარ ფართობზე.

ჭაობებზე შეტევას აფხაზეთში ახლა აწარმოებენ მძლავრი სატრაქტორო რაზმები. აფხაზეთის მექანიზაციის სამელიორაციო სამმართველოს მექანიზატორებს აქვთ ასზე მეტი ტრაქტორი, ბულდოზერი, ექსკავატორი, სკრეპერი, გრეიდერი, სხვა მანქანები და მექანიზმები. მათი საშუალებით გაჰყავთ ამოსაშრობი არხების ტრასები, ძირკვებს ტყის შამბნარებს, აშენებენ გზებს, თვოსებენ ყამირს. მელიორატორები არა მარტო აშრობენ მიწებს, არამედ აბარებენ გამზადებულს ბაღებისა და პლანტაციების გასაშენებლად. შარშან მათ ამოაშრეს ორი ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწები, რომელთაგან 800 ჰექტარი უკვე მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ხუმუშკური, მზიურისა და კინდღის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში. მაშინვე ამოაშრეს 750 ჰექტარი მიწა გულრიფშის რაიონში და 300 ჰექტარი გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობაში. წელს გაზაფხულზე გატეხილი ყამირი დაიფარა ჩაის, ვაზის, ხეხილის ნარგავებით.

ფართო ფრონტით მიმდინარეობს მუშაობა გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების მიდამოებში. კოლმეურნეობა „გიგანტის“ ტერიტორიაზე მელიორატორები ჭაობს წაართმევენ კიდევ ათას ჰექტარ მიწას, 1550 ჰექტარ მიწას თვისებენ მეზობელი სოფლის ქვემო ბარღების რაიონში. აქ გაშენდება ორი ახალი ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

თავდადებით შრომობენ მელიორატორები. ფაროთოდ არიან ცნობილი ბულდოზერისტები ალექსი კვარანძია, კაპიტონ კვარაცხელია, ვლადიმერ ნანბა, მექანიკოსტორეები მურმან ხაინდრავა, ტარიელ ბართაია, ივანე კოლოდეზნი.

ძველი კოლხეთი იწყებს მეორე სიცოცხლეს.

ქართლ-კახეთის ქვეყნის ეიფაზე



ამ ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ „საქართველოს გულგულის“ ვანო სარაჯიშვილის ძეგლს, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა მომღერლის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში. ძეგლის ავტორია მოქანდაკე ამირან გილანიშვილი.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

მეგობრული კონტაქტები

საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა თანამშრომლობა

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ათი დღის ყოფნის შემდეგ თბილისში დაბრუნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები რ. რ. დვალი და ბ. ვ. ჭერმიშელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ვ. ვ. მახალდიანი და ე. ლ. ანდრონიკაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. მ. აფაქიძე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის უცხოეთის განყოფილების გამგე დ. დ. გურგენიძე. ქართველი მეცნიერები გაეცვნენ ბერლინის გერმანულ მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურასა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, ეწვივნენ ქალაქის დრეზდენს, ლაიფციგს, ჰალეს, იენს, იყვნენ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში, ჰქონდათ შეხვედრები გერმანელ მეცნიერებთან. ბერლინის გერმანული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ჰარტკემ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხელიშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების ოქმს 1967-1968 წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

„სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს რ. რ. დვალს ეამბნა მოგზაურობისა და გერმანელ მეცნიერებთან შეხვედრების შთაბეჭდილებათა შესახებ.

— უწინარეს ყოვლისა მსურს აღვნიშნო, — თქვა რ. რ. დვალმა, — რომ დიდი სიხარულითა და სტუმართმოყვარეობით, გულთბილად და გულითადად შეგვხვდნენ ჩვენი კოლეგები — მოძმე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერები. ფართო შესაძლებლობა მოგვცეს გავცნობოდით ყველა სამეცნიერო დაწესებულებას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ყველა გამოკვლევას. უნდა ითქვას, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეცნიერული მუშაობის დონე მაღალია და კვლევები წარმოებს თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით. საყურადღებოა, რომ ლაბორატორიები უაღრესად არის მოწყობილი.

ჩვენი მოგზაურობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საუბარი გერმანელ მეცნიერებთან მოწმობს არა მარტო საბჭოთა ხალხისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის ნამდვილ ძმურ გრძნობებს, არამედ იმასაც, რომ განუწყვეტლივ ფართოვდება მეცნიერული კონტაქტები, ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამეგობრობა ორივე ქვეყნის მეცნიერთა შორის, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე მეცნიერების პროგრესში შემდგომი წარმატებების მიღწევას.

როგორც ვიცით, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა დელეგაცია ბერლინის გერმანული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ვ. ჰარტკეს მეთაურობით. დელეგაცია გაეცნო რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, პირადი კონტაქტები დაამყარა ქართველ მეცნიერებთან. ჩვენი დელეგაციის ჩასვლა ბერლინში გერმანელ მეცნიერთა მიწვევით იყო საპასუხო ვიზიტი. ჩვენი აკადემიების შემოქმედებითი ურთიერთობა და კვლევის შედეგების გაცვლა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რომ თბილისის უნივერსიტეტმა თანამეგობრობის ხელშეკრულება დადო იენის სახელგანთქმულ უნივერსიტეტთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

კითხვა: რაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და ბერლინის გერმანული მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანი?

— მათემატიკის დარგში გათვალისწინებულია ერთობლივი მუშაობა დრეკად სისტემების სიმტკიცის პრობლემებისადმი ინტეგრალური განტოლებებისა და ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებაში. ამ დარგში თანამშრომლობას განახორციელებენ თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — ბერლინის გერმანული მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტი და ატომგულის კვლევის ცენტრალური ინსტიტუტი.

დიდი ყურადღება დაეთმობა მყარი სხეულის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე მაიონიზებელი გამოსხივების ზემოქმედების ერთობლივ კვლევას. ამ სამუშაოების კოორდინაცია ჩვენი მხრიდან ეკისრებათ საქართველოს აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — ბერლინის გერმანულ მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის კვლევის ცენტრალურ ინსტიტუტს, ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტსა და ელექტრონული მიკროსკოპიის სამუშაო ჯგუფს. დასახულია აგრეთვე ჩვენი ქვეყნების მეცნიერთა ერთად მუშაობა სამართავი და თვითმარეგულირებელი სისტემების ტექნიკის შემუშავებაში. ბიოლოგები გაერთიანებული ძალებით გამოიკვლევენ სამკურნალო მცენარეებს.

მეცნიერული ინფორმაციების გაცვლის დიდი შესაძლებლობანია საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ბერლინში მოვილაპარაკეთ შევათანხმოთ შემოქმედებითი ძიება ისტორიაში, გამოვიკვლიოთ აზიასა და აფრიკაში ისლამის ისტორიისა და როლის, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური განვითარების, აღმოსავლური ენების შესწავლის დარგებში. საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსები ერთად შეისწავლიან თემური წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის პრობლემებს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაისტორიის ინსტიტუტი აპირებენ შემოქმედებითი თანამეგობრობით განსაზღვრონ არქეოლოგიური ობიექტების ასაკი რადიოაქტიური დათარიღების საშუალებით. ერთობლივი შესწავლისათვის პრობლემებს დაასხებენ საქართველოსა და გერმანული აკადემიების ინსტიტუტების უშუალო კონტაქტების გზით.

ჩვენი აკადემიები წელს გაცვლიან სპეციალისტთა ჯგუფებს, უფრო მეტ მეცნიერულ ლიტერატურას გაუგზავნიან ერთმანეთს, ერთად მიიღებენ მონაწილეობას კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

ქალაქი რიონის პირას

ოზურგეთი წლის წინათ ის იყო პატარა სოფელი რიონის მარცხენა ნაპირზე. უსწორმასწორო ტალახიანი ქუჩებითა და ხის ბოგირებით.

დღეს ის სოფელი ქალაქია, ქალაქი ამბროლაური.

მისი ცხოვრება ისეთი მჩქეფარე და ხალისიანია, როგორიც ღვინის, ვენახის მხარეს შეეფერება. მთებით შემოფარგლულ ჭალაში ზის იგი, თეთრი და მარადმწვანე.

ამბროლაური რაჭის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონის მთავარი ადმინისტრაციული და სამრეწველო ცენტრია. მოკლე ხანში გაიზარდა და დავაკაცდა იგი. რაჭველების მადლიანმა მარჯვენამ გაალამაზა მისი ქუჩები და ბაღები, სკვერები და ყვავილნარები, ააშენა ორ და სამსართულიანი შენობები, რკინა-ბეტონის ხიდები.

ამბროლაურში თავს იყრის მთელი ქვემო რაჭის სახალხო მეურნეობის სიმდიდრე. აქედან გადის იგი რაჭის ფარგლებს გარეთ. მშრომელთა ყოფა-ცხოვრებას ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო და სამრეწველო დაწესებულებების ფართო ქსელი...

ღვინის ქარხანა, სადაც ქალაქის ახლომახლო სოფლებისა და ადგილობრივი ზვრების მოსავალი მაჭრდება, ერთერთი დიდი სამრეწველო დაწესებულებაა მთელ რაიონში. მისი მნიშვნელობა მარტო რაიონით არ შემოიფარგლება. იგი საქართველოს მასშტაბის საწარმოა. აქ ამზადებენ საქვეყნოდ ცნობილ ღვინოს „თეთრას“, რომელმაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა მეღვინეთა და მევენახეთა მსოფლიო ფორუმზე.

გარდა ღვინის ქარხნისა, ქალაქში არსებობს რძის ქარხანა, რომლის პროდუქციაც გადის რაიონს გარეთ, და რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოები: კირის და აგურის ქარხნები, ავეჯის საწარმო, უალკოჰოლო სასმელების ქარხანა და მრავალი სახელოსნო.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი დასაქმებულია ადმინისტრაციულ, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ქალაქში არსებობს ორი საშუალო სკოლა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სამშობიარო სახლი, კულტურის სახლი, სახალხო თეატრი, კინოთეატრები, სასპორტო მოედნები და დარბაზები, საბავშვო და სარაიონო ბიბლიოთეკები, გამოდის გაზეთი.

დაბაში სულ 500-მდე შენობაა, 400-მდე საცხოვრებელი სახლი. მთელი საცხოვრებელი ფართობი დაახლოებით 25.000 კვ. მეტრს შეადგენს.

დღითიდღე ფართოვდება ქალაქი ამბროლაური. იგი უკვე გავიდა რიონის მარჯვენა ნაპირზე. აგურის ვრცელ შენობებში მოთავსდა გზატკეცილების სამმართველო და ქალაქის ავტოტრანსპორტის კანტორა; ზედ რიონის ნაპირზე დგას ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

ამ ბოლო დროს დიდი მშენებლობა გაიშალა მდინარე კრიხულას ხეობაში. იგი ძირითადად საცხოვრებელ კვარტალად გადაიქცა. მოსახლეობამ უკვე მიაღწია მდინარე ხოტურამდე, ხოლო თვით ცენტრი შეერწყა „ქვაბთკარს“ და ხიდიკარს. იგი გადაჭიმულია რიონის ორივე მხარეზე. მას შეუერთდნენ სოფლები იწა, ახალსოფელი, ხიმში, გორი, სულ მალე მიაღწევს კვაცხუთსა და ძირაგულამდე.

დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის გამშვენიერებას. ქუჩები მთლიანად მარადმწვანე მცენარეებით არის დამშვენებული. ცენტრალურ ქუჩაზე ცაცხვის ულამაზესი ხეივანია. იგი მთავრდება მოედნით, სადაც დგას კულტურის სახლის და სახალხო თეატრის დიდი ნაგებობა. ეს არის ლამაზად და მკვიდრად ნაგები სამსართულიანი შენობა, რომელსაც ამშვენებს კოლონებიანი ფასადი.

მოედნიდან ყოველმხრივ მიემართება ქუჩები. ერთი მათგანი პარალელურად მიჰყვება კრიხულას დინებას, ჰკვეთს მთელ ქალაქს და გადის რიონის რკინა-ბეტონის ხიდზე, მეორე მდინარე კრიხულას ხიდით პირდაპირ სოფელ იწისაკენ მიემართება, მერე იტოტება ორ ნაწილად, „ქვაბთრისა“ და კრიხის მიმართულებით.

ქალაქს თავს დასცქერის თეთრი შენობა. ეს არის ამბროლაურის კოლმეურნეობის კანტორა. აქედან როგორც ხელისგულზე ისე ჩანს ამბროლაური. როცა კირის და აგურის ქარხნები ბოლავენ, დიდ სამრეწველო ქალაქს მოგაგონებთ, მაგრამ, თუ დაუკვირდებით, მის ქუჩებში გაივლით, შეიგრძნობთ სუფთა ჰაერისა და სინათლის უდიდეს ბუნებრიობას, რასაც ნაკლებად ატყვია ხელოვნურობა.

კიდევ უფრო გაიზრდება და გალამაზდება იგი მოკლე ხანში.

გაისისათვის მისი ფართობი 10 ჰექტარით უნდა გაიზარდოს. გაიყვანენ 15 კილომეტრი სიგრძის ახალ ქუჩებს, აშენდება მეორე ხიდი მდინარე კრიხულაზე. ეს მთლიანად შეუცვლის სახეს ამბროლაურს და კიდევ უფრო ლამაზსა და მომხიბლველს გახდის მას.

სამი საავტომობილო და ორი საჰაერო გზა შემოდის ქალაქში. კომფორტაბელური ავტობუსები და თვითმფრინავები დგანან ავტოსადგურში და აეროპორტში. „თბილისი-ამბროლაური“, „ქუთაისი-ამბროლაური“, „თელავი-ამბროლაური“, „ბათუმი-ამბროლაური“ და მრავალი სხვა.

უამრავი სტუმარი ჰყავს მას ზამთარ-ზაფხულ. სტუმართა ნაწილი შოვისა და უწერისაკენ მიდის, ნაწილი კი ქალაქში ისვენებს და ეცნობა მის შემოგარენს.

ჩქეფს ქალაქის ცხოვრება. ნორჩებით სავსე ქალაქი ხმაურიანია, განსაკუთრებით დილით და შუადღისას მისი ქუჩები მოსწავლეებით ივსება. მოდიან, მოაბიჯებენ ქართველები, გულით მოაქვთ დედა-ენის სიყვარული, საქართველოს და შრომელი ქალაქის სიყვარული.

მათ იციან მასპინძლობა, გულღიად ხვდებიან მოყვარეს.

მათი ხელით უნდა გაიზარდოს ქალაქიც, რომელიც მამა-პაპებმა ააშენეს და დაამშვენეს.

ახლა იგი რიონის ორივე ნაპირზეა გაშენებული.

წინათ კი ის იყო პატარა სოფელი რიონის მარცხენა ნაპირზე, უსწორმასწორო ტალახიანი ქუჩებითა და ხის ბოგირებით...

ალბათ შენც ასეთი გახსოვდა, ჩემო მეგობარო!

რამინ ჯელიძე,

* * *

სურათზე: ქ. ამბროლაურის ერთერთი კუთხე.

ფოტო **ავტორისა.**



ინჭინერი, ქორეოგრაფი

პარიზი. „ალამბრას“ საკონცერტო დარბაზი. საქართველოს ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლი ასრულებს ძველებურ ფერხულს „ფარცაკუკუს“.

ჩაქურებიანი მოცეკვავენი მხარიმხარ, გადახვეულნი დგანან. მათ მხრებზე ადგებიან სხვები. წამიც და ამათ უკვე მესამენი ადგებიან მხრებზე. წრე ნელინელ დაიძრა მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. გახურდა დოლი. ცეკვა დაუოკებელი სისწრაფით ჩქარდება. მოცეკვავეთა გამომეტყველება ბრძოლისაკენ, გამარჯვებისაკენ, ზეიმისაკენ სწრაფვას გამოხატავს...

დარბაზში ოვაცია ქუხს.

მაგრამ კაცი, რომელსაც სამართლიანად შეიძლებოდა ეს მჭუხარე ტაში მიკუთვნებოდა, დარბაზში არ ყოფილა. ძველისძველი, სიმამაცითა და კეთილშობილებით აღსავსე ეს ცეკვა აღადგინა ქართველმა ინჟინერმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი სალუქვაძემ.

ძველებური ფერხული „ფარცაკუკუ“ მებრძოლი ქართველების ცეკვაა, რომლებიც ფხიზლად იცავენ სამშობლოს საზღვრებს. იგი ღრმად ხალხურია, ემოციური. „ფარცაკუკუ“, ისევე როგორც გიორგი სალუქვაძის მიერ ადრე აღდგენილი ცეკვები „კალმახობა“ და „ფუნდრუკი“ რესპუბლიკის თითქმის ყველა ანსამბლის რეპერტუარშია შესული. მაგრამ ამ ცეკვების საუკეთესო შემსრულებლად მაინც ის ანსამბლი ითვლება, რომელსაც თვითონ გიორგი სალუქვაძე ხელმძღვანელობს.

იგი დასავლეთ საქართველოს პატარა ქალაქ მახარაძეში (ყოფილი ოზურგეთი) ცხოვრობს. პროფესიით ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ბუნუის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორია. ხალხური ცეკვებისადმი სიყვარული მშობლებისაგან, უბრალო გლეხებისაგან შეისისხლხორცა. სალუქვაძეთა მთელი ოჯახი ქორეოგრაფიის ოსტატებისაგან შედგება. ორი ვაჟი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტორული ფაკულტეტის სტუდენტები — ჩინებული მოცეკვავეა, მეუღლე კი — ხალხური სიმღერების შემსრულებელი.

ძნელი სათქმელია, რა უფრო იტაცებს ორმოცდაათი წლის ინჟინერს — ხელოვნება თუ ენერგეტიკა. სწორი იქნებოდა გვეთქვა, ერთიცა და მეორეც — თანაბრად. მასში იმდენივე სიჩაუქე და სიფიცხე იგრძნობა, რამდენიც გაზაფხულის ნაკადულში. დასავლეთ თითქმის არ რჩება დრო. თუმცა ინჟინერი მეტად თავისებურად ისვენებს. წერს მუსიკას თავისი ცეკვებისათვის, აკეთებს ესკიზებს ახალი დადგმებისათვის, ან სოფელ-სოფელ დადის და მოხუცების ნაამბობიდან კრებს ახალ-ახალ სიუჟეტებს თავისი ნაწარმოებებისათვის.

— ბავშვობისას მჯეროდა, რომ ჩვენს ეროვნულ საკრავებში ჩონგურსა და ფანდურში, სალამურსა და დოლში კეთილი სული ცხოვრობდა, — ამბობს გიორგი სალუქვაძე. — ამიტომ ყოველთვის მინდოდა მომესმინა, თუ რაზე ლაპარაკობდნენ ისინი. შემდეგ მივხვდი, რომ ცხოვრობენ ისინი ადამიანებიც, გამოსათვლელ სახაზავებშიც, ორთქლმავლებსა და ტურბინებშიც. მივხვდი იმასაც, რომ თუ არა ისინი, ჭვეყნად ძალიან ცოტა იქნებოდა ღიმილი, ადამიანს ასე რომ ეხმარება სიყვარულსა და შრომაში...

თითქოს თავისივე ნათქვამის დასადასტურებლადო, იგი ქმნის „მშვიდობის ცეკვას“, რომელიც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 საერთაშორისო ფესტივალზე უჩვენებს. ამ ქორეოგრაფიულ სიუჟეტში ყველა საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ისინი ცეკვავდნენ თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში, რომელთა ესკიზებიც გიორგი სალუქვაძემ დაამუშავა.

თავის დროზე რომენ როლანმა მაღალი შეფასება მისცა ქართულ ცეკვებს „მთიულურსა“ და „კინტაურს“. იგი აღტაცებაში მოიყვანა სუფრულმა „მრავალჟამიერმა“ და შრომის „ეჰი-ოჰამ“.

— რა შესანიშნავი, მდიდარი სიმღერებია! — შესძახა ფრანგმა მწერალმა მაშინ. — რა უძირო ზღვაა მომხიბლავი მელოდიებისა.

მაქსიმ გორკიმ კი სადღეგრძელო შესვა „იმ ერის სადიდებლად, რომელმაც შექმნა ისეთი მშვენიერი ცეკვა, როგორიც არის „ქართული“.

და იგი ნამდვილად ამ ერის იმ შესანიშნავ წარმომადგენლებს გულისხმობდა, როგორებსაც გიორგი სალუქვაძე ეკუთვნის.

გ. იაშვილი.

ხალხური ხელოვნების მარგალიტები

მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს ქართულ ხალხურ სახვითსა და დეკორატიულ-გამოყენებითს ხელოვნებას, იგი ორიგინალური სიტყვაა მსოფლიო ფოლკლორის საგანძურში. მის შესახებ გვიამბობენ არქეოლოგიური გათხრების მრავალფეროვანი მასალები, ქართველთა და უცხოელთა წერილობითი წყაროები და ჩვენამდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახეობათა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა ქართული ხელსაქმე — ნაქარგობანი, მხატვრული ქსოვა და დაჩითულობა.

ქართველი ხალხი ოდითგანვე მისდევდა მეცხოველეობას, მეაბრეშუმეობას, მრავლად იყო ჩვენში თუთის ხეები აბრეშუმისათვის, ბამბა და ქსელი; საქართველოს მდიდარი ბუნება ხელს უწყობდა ძაფებისა და ქსოვილების ხარისხიერობებას, მცენარეულის საღებავების მდიდრულ ფერადოვნებას. ყოველივე ეს კარგ მასალას აძლევდა ქართველ ხალხს — შეექმნა მაღალხარისხოვანი და ლამაზი შალის, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები.

საქართველომ შეიმუშავა ხელსაქმის მდიდარი ტრადიციები, მასში ჩაქსოვა მთელი თავისი კულტურა, გემოვნება, ფანტაზია და შექმნა მეტად თავისებური ეროვნული ხელსაქმე. იგი გამოირჩეოდა ფერთა ჰარმონიული შეხამებით, დახვეწილი, ლაკონიური სტილით, მდიდარი ფანტაზიით, უზადო შესრულებით და ტექნიკის მრავალსახეობით. გარდა მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტისა ხელსაქმეში იყენებდნენ ფრინველთა და ცხოველთა გამოხატულებებს, სიუჟეტურ კომპოზიციებს, პორტრეტებს.

იქარგებოდა და იქარგება: ტანსაცმელი (კაბები, ხევსურული პერანგები, ახალუხები, შეიდომები, სარტყელი, გულისპირი, ლეჩაქი, თავსაკრავი), საფენები (დორები, სუფრები, ფარდები). მუთაქები და სხვა მრავალი. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ჩვენში ოქროსა და ვერცხლის ძაფებით ქარგვა (ოქრომკერდი), მაგრამ ქარგავდნენ აგრეთვე შლილი და დაგრეხილი აბრეშუმის და შალის ძაფებით, ხავერდულთი და სხვ. იქარგებოდა მაუდზე, ფარჩაზე, ხავერდზე, სტავრაზე, და რაიაზე. იგი გამოირჩეოდა თავისი მრავალფეროვანი ნაკეროებით: სადა მოყინული და ამობურცული სითვალა, ისე მოუჭრელი ჭირხელი. ისინი ხშირად ირთვებოდა რელიეფებით ამოკაწვრით ან სხვა ფერის ჩუქურთმებით.

მსოფლიო კულტურის საგანძურში საპატიო ადგილი უჭირავს ლითონს მხატვრულად დამუშავების სხვადასხვა სახეობებს (ჭედურობა, გრეხილი, სეკვა და ზარნიში, მინანქარი, ახალციხის ფილიგრანი და სხვ.). ქართული ჭედურობის შესრულების პრინციპი საუკუნეთა განმავლობაში თითქმის უცვლელი იყო, იცვლებოდა მხოლოდ და მხოლოდ შესრულების მანერა, სტილი, ოსტატობის მხატვრული და ტექნიკური დონე. ბოლო წლებში იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქართულ დეკორატიულ გამოყენებით ხელოვნების სხვა სახეობათა შორის. დღეს ჩვენს ინტერიერში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჭედურობის ტექნიკით შესრულებულ დეკორატიულ პანოებს, სურათებს, სამკაულებსა და სხვ.


ჯერნახულმა ქართველმა ხალხმა, მიუხედავად მტერთა მრავალგზის შემოსევისა, ნგრევისა, გადაწვისა და აწიოკებისა, მაინც შესძლო საუკუნიდან საუკუნეში თაობიდან თაობისათვის გადაეცა და ჩვენამდე მოეტანა ხალხის საუნჯე — ხალხური შემოქმედება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებობდა მცირეოდენი ქარხნები და სახელმწიფო სკოლები, რომელნიც მიზნად ისახავდნენ გადაეცათ ახალი თაობისათვის ხალხური შემოქმედების ესა თუ ის სახეობა. შემთხვევითი დაწესებულებანი და საქველმოქმედო დახმარებანი ზღვაში წვეთი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში იწყება ახალი აყვავების ხანა ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. ზოგმა დაწესებულებებმა, როგორიც იყო მაგალითად: შინამრეწველობის მუზეუმი, საზოგადოება „განათლება“ და სხვ. დაიწყეს ხალხური შემოქმედების მასალების შეგროვება და ზოგ სახეობაში ახალი კადრების აღზრდა. გამოიცა ქართული ხალიჩების ნიმუშების ალბომი.

1936 წელს საქართველოში დაარსდა ხალხური შემოქმედების კაბინეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ხალხურ შემოქმედებას. 1937 წელს მოეწყო ხალხური შემოქმედების პირველი რესპუბლიკური გამოფენა, რომლის მიზანი იყო — მაქსიმალურად გამოეცოცხლა ხალხური შემოქმედების ოსტატები, წაეხალისებინა და ხელი შეეწყოთ ოსტატებისათვის ისეთი პირობების შესაქმნელად, რაც საშუალებას მისცემდა მათ ემოქმედათ თავიანთი კვალიფიკაცია. გამოფენაზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა კუთხის ოსტატმა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მხატვრულ ქარგულობაში — ლ. რამიშვილი. (ბათუმი), ნ. ლოლუა (ფოთი), ნ. კიკვიძე (ამბროლაური), თბილისიდან — ა. ჯანდიერი, ნ. სულხანიშვილი. თ. გედევანიშვილი. ჭედურობაში, თბილისიდან — გ. ხანდამაშვილი. ა. და თ. ჯიქიები, ქ. ძაძამიძე (ზუგდიდი), ხეზე ინკრუსტაცია: გ. ცანავა და სხვ. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. დაისახა ახალი ღონისძიებანი. ქართული ხალხური სახვითი ხელოვნების, ოსტატები გაერთიანებულნი იყვნენ ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლთან მოწყობილ ექსპერიმენტალურ სამხატვრო სახელოსნოებში, რომელიც შემდეგ ქარ-







თული ხალხური სახვითი ხელოვნების სასწავლო კომბინატად გადაკეთდა. წამყვანი ოსტატები ამ სახელოსნოებში ცალკეული დარგების მიხედვით იღებდნენ რა შესაფერ დახმარებას, კონსულტაციების და საჭირო მითითებების სახით იმაღლებდნენ თავის კვალიფიკაციას და ამასთან ამზადებდნენ ახალ კადრებს — მომავალ ოსტატებს. ამ სახელოსნოებში, ოსტატებად მოწვეულნი იყვნენ გ. ხანდამაშვილი, თ. და ა. ჯოქიები, ა. კანდიერი, გ. ავალიშვილი და სხვა.

1941 წელს მოეწყო საქართველოს ხალხური შემოქმედების მეორე რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ოცი წლისთავისადმი. გამოფენაზე გამოვლენილ იქნა მრავალი ახალი ოსტატი, რომელთა უმრავლესობა აღზრდილი იყო ზემოხსენებულ სახელოსნოებში (ვ. ზიარელაშვილი; დ. მამადაშვილი, ნ. ცხომელიძე, მ. წერეთელი, ლეკიშვილი და სხვები).

შემდგომ წლებში ხალხური შემოქმედების ოსტატები სისტემატურად ძონაწილეობენ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებში, ოლიმპიადებსა და დათვალიერებებში. ქართული ლიტერატურის და ხელოვნების დეკადაში და სასოფლო სამეურნეო საკავშირო გამოფენაში. სადაც მათ ნამუშევრებს ყოველთვის საპატიო ადგილი ეჭირათ.

პირველ და მეორე რესპუბლიკურ გამოფენათა ექსპონატების უმრავლესობა და ექსპერიმენტალურ სამხატვრო სახელოსნოებში დამზადებული ნაწარმი საფუძვლად დაედო საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლთან არსებულ ხალხური სახვითი ხელოვნების მუზეუმს. ეს მუზეუმი რამდენიმე წლის წინათ ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში და მისებაძ მაგალითად გადაიქცა სხვა რესპუბლიკებისათვის (უკრაინა, ბელორუსია, რსფსრ და სხვ.). ეს მუზეუმი 1960 წლიდან გამოეყო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს და შეუერთდა სარეწაო სპეციალურ მუზეუმს. მუზეუმში თავმოყრილია მეტად საინტერესო მასალა ქართული ხალხური შემოქმედების მრავალ სახეობაზე.

ქართული სახვითი ხელოვნების სასწავლო კომბინატი სამამულო ომის პერიოდში დაიხურა. მრავალმა ახალგაზრდა ოსტატმა თავისი ფუნჯი და საჭრეთელი შესცვალა საბრძოლო იარაღით და თავდადებით იბრძოდა სამშობლოს ღირსების დასაცავად.

საგუნდო, ქორეოგრაფიულ და თეატრალურ თვითმოქმედ წრეებთან შედარებით სახვითი ხელოვნების თვითმოქმედი წრეები კლუბებთან და კულტურის სახლებთან ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით მცირერიცხოვანია, სანიმუშოდ ითვლება თელავის კულტურის სახლთან არსებული სახვითი ხელოვნების (ხატვისა და ფერწერის) თვითმოქმედი წრე, რომელიც უკვე ექვსი ათეული წელს ითვლის. წრე თავის არსებობის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს, მონაწილეობას იღებს როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ გამოფენაში და დათვალიერებებში. ამ წრის არა ერთი წევრი განათლებას აგრძელებს სამხატვრო აკადემიაში და სხვა სამხატვრო სასწავლებლებში, ზოგი მათგანი უკვე პროფესიონალი მხატვარია.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერიაში გახსნილი იყო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, მხატვრული ხელსაქმე (ნაქარგობა, ქსოვა და დაჩითულობა), ხეზე და ქვაზე კვეთილობა, კერამიკა, ჭედურობა, სეკვედა და სხვა მრავალი.


კვლავაც ისახელეს თავი ჯ. ხუციშვილმა, ს. მორიანაშვილმა, შ. ბებიაშვილმა, ა. ალადაშვილმა, ვ. მარსაგიშვილმა, ბობოხიძემ (ფერწერა, გრაფიკა), შ. მარადაშვილმა, გ. ფუტკარაძემ, ა. ხაბურზანიამ, ნ. იაკობიძემ, ვ. გედენიძემ, (ქანდაკება), კ. ქუთათელაძემ, მ. მაგამედოვამ, ს. გერკილიძემ, ბ. რაჭველიშვილმა (ჭედურობა), კ. ცანავამ, ვ. რუსეიშვილმა (ხეზე კვეთილობა), ცხოვრებაძემ, მაჩხანელმა, ტატუნაშვილებმა და სხვ.

მათი ნამუშევრები გვიხიბლავენ თავისი მაღალ მხატვრულობით და უხვად შესრულებით.

ი. უზნაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

* * *

სურათებზე: ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური გამოფენის ექსპონატები. მე-4 გვერდზე, მარცხნიდან — ბ. რაჭველიშვილის „ფიროსმანი“, ჯ. ხუციშვილის „მწყემსები“, გ. ოჩიაურის „ხევსურული ტანსაცმელი“; მე-5 გვერდზე — ზემოთ, ს. გერკილიძის „მიწასთან ჭიდილი“ (ზემოთ), ს. ცხოვრებაძის „ლობიოს სერვიზი“.





საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

ვაშლის სიცოცხლის ტოლი

დედა-შვილი, ელენე და თამარი უცნობი ჯარისკაცის საფლავს მიუახლოვდნენ.

— შვილო! — თქვა ჩუმად მოხუცმა ქალმა და შედგა.

„ის არის, ის!“ — ჩასძახოდა ხმა იდუმალი და სულს უფორიაქებდა.

აქ სხვებიც მოსულიყვნენ. იდგნენ ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ბავშვები. გრანიტის საფლავზე უამრავი ყვავილი ეწყო.

თამარი დაიხარა, თაიგული დაშალა და ვარდები ყვავილებში მიმოაბნია. როცა წელში გაიმართა, სველი თვალები აუჭრელდა და მარადიული ცეცხლის ალი უფრო მაღალი, უფრო დიდი მოეჩვენა.

„შენი სახელი უცნობია, მაგრამ გმირობა შენი — უკვდავი“.

დედა-შვილის წარმოდგენით კი მარადიული ცეცხლი იმ ვაჟკაცის გულზე ანთია, ვინც მათ ორმოცდაერთში გააცილეს.

ქუჩა ხმაურობდა, მაგრამ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან თავმოყრილი ხალხის დუმილი თითქოს ახშობდა ქალაქის გნიასს, თითქოს იდგა სამარისებული სიჩუმე.

მოხუცი დედის ელენეს თვალში ჩაგუბებული ცრემლი კი სულ სხვაგვარად აჩენდა მარადიულ ცეცხლს. ცრემლი ამრავლებდა ალს, ჩანდა ათობით და ასობით მოლაპლაპე. და ეს უამრავი ალი, ერთის გულზე კი არა, ათასობით უგზოუკვლოდ დაკარგულის გულზე ანთია.

ელენეს შეაჟრუოლა. უნებურად გვერდით გაიხედა. იქვე მოხუცი ქალი იდგა. იგი უცრემლოდ, მაგრამ დაღვრემილი უყურებდა ცეცხლს.

„ეს ვიღას გლოვობს? აქ ხომ ჩემი შვილია! მაგრამ იქნებ ჩემი არ არის და სწორედ ამისია, ამ საბრალო ქალისა?“.

ვინ იცის, ვინ არის იგი!

აქ ამ პატარა ცეცხლის ალმა შეაერთა ათასთა დამწვარი გული.

— თქვენ ვინ დაკარგეთ? — ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

— ჩემი შვილია! — უპასუხა ელენემ.

ქალი არ შეედავა. ელენეს გვერდში ამოუდგა და მხოლოდ მაშინ აუწყლიანდა თვალები.

— არა, არავინ არ იცის ვინ არის იგი... მაგრამ მე ვიცი, რომ იგი ჩემი შვილია.

არც ელენე შეედავა. მან უფრო ახლოს გადაიწია ქალისაკენ და ისინი უნებურად ერთმანეთს შეეხნენ. ელენე შეკრთა, როცა უცნობი ქალის თრთოლვა იგრძნო.

— კარგია, რომ სულის დასამშვიდებლად ეს ცეცხლი აანთეს, — თქვა უცნობმა ქალმა.

ელენემ კვლავ ათობით ალი დაინახა.

— რამდენი წლის იყო თქვენი ვაჟი!?

— ოცისა.

— ჩემი ოცდაორის გახლდათ, — ამოიოხრა ქალმა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

ვიღაც მამაკაცი იქვე ახლოს გაჩერდა. ცალ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეში ყვავილები. ყვავილები გრანიტის ფილაზე ფრთხილად დააწყო და თამარს გამოელაპარაკა.

— ეს კარგი საქმე გაკეთდა... — მოხუცს ხმა ურთროდა, — არ ვიცით სად იყო, როგორ იყო... აჰა, ანთიო! მუდამ ენთება!

სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო თამარის ადგილზე, იგი მაინც გამოელაპარაკებოდა, რადგან აქ მდუმარედ გაჩერება არ შეეძლო.

— შვილია? — ჰკითხა თამარმა.

— შვილი. აქ ყველას შვილია. მე ვიცი, რომ ეს ყველასია... მაგრამ მაინც ჩემი მგონია. ჩემი შვილი ყველას შვილი გამხდარა და... ეს ცოტა ნუგეში როდია!

მოხუცმა ნიკაპი მოისრისა. დიდხანს აღარ გაჩერდა. სხვებიც წავიდნენ. ახალი ხალხი მოვიდა. ახალგაზრდები დაძაბულნი უცქერდნენ მარადიულ ცეცხლს.

გაივლის წლები, საუკუნე. მოვლენ ახალი თაობანი. ისინიც მოწიწებით დახრიან თავს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ახლა კი დგანან დედები, მამები, ძმები და დები, დგანან და გრძნობენ, რომ ეს უკვდავებაა, უკვდავება — ათასი სიცოცხლის ტოლი.

...მზე დანათოდა დედაქალაქს. მოედანზე მტრედები ღუღუნებდნენ.

საბჭოს ხმა

№ 13, ივლისი, 1967 წ.

ზურაბ გემაზაშვილი

მეფე მგელთავა

ნაწყვეტი მოთხრობიდან

სისხლში ამოვლებული მზე გადაიწვერა და ბრძოლაც შეწყდა. ისევ მიუვალ ციხის კედლებს შეაფარა თავი მტრის ლაშქარმა. აქეთ-იქით უხვად გაბნეულიყო დახოცილ მებრძოლთა გვამები. მიწყდა ომის გნიასი და უფრო მკაფიოდ გაისმა დაჭრილთა კვნესა, გმინვა. დაღლილი თვალი მოავლო „მეფის ყურმა“ მატყამ ბრძოლის ველს. შემდეგ კლდეზე შეხუნძლულ მოყრანტალე ყვავ-ყორანს გახედა. ბრძოლის ყიჟინზე დამფრთხალი შავოსნები ჯერ ვერ ეკარებოდნენ გვამებს. „ჯერს ელიან სიბნელის მხლებელნი...“ — უსიამოდ გაიფიქრა მან, — „ალბათ ამიტომ არის, რომ სწორედ შუქის წყაროს, თვალებს ამოკორტნიან ხოლმე კაცს ტიალნი პირველად...“

ცხენიდან ჩამოქვეითებული, აბჯარასხმული რაინდებისაკენ მიბრუნდა. ზოზინით იკრიბებოდნენ მეფის გარშემო მარზაპანნი და ერისთავნი. მათკენ თოხარიკით წაიყვანა ცხენი. შორიახლო ჩამოქვეითდა, ჩვეულებისამებრ შეავლო თვალი გახვითქულ ბედაურს. აქა-იქ მსუბუქ ნაკაწრებზე სისხლი შეხმობოდა, ზოგან კი ჟონავდა ოფლში შერეული. ყბებს ქვეშ აღერსით გამოუსვა ხელი გონიერ პირუტყვს, აღვირი კისერზე გადაუგდო, ლაგამი წააყრევინა და მეფის ირგვლივ შეკრებილი დიდებულებისაკენ გაემართა. თვინიერად მიჰყვა ბედაური პატრონს.

ჯუანშერ სპასპეტს უხმობდა მეფე. დაღლილი ნაბიჯით ეახლა სპასპეტი, მოახსენა:

— ვბრძანე მოაგროვონ, აგერ იმ ხევის პირას ტაფობში საერთო სამარე გათხარონ და მიცვალებულნი მიწას მიაბარონ. ვიცი დაქანცული არიან, მაგრამ... — სიტყვა გაწყვიტა, გაბნეულ ლაშქარს გახედა, ყველა თავის საქმეს აკეთებდა, — იმათ მეციხოვნეთაც შევაკყობინე, რომ მიხედონ.

იცოდა მეფემ, ამისი დრო არ იყო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ომის თადარიგი არ შეეშლებოდა სპასპეტ ჯუანშერს. მეორე დღეს თაკარა მზეზე აქოთდებოდა ყველაფერი, ბუზი და ჭია-ღუა დაესეოდა. ალყა კი, ვინ იცის, იქნებ კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელებულიყო. აღარაფერი თქვა, უხმოდ დაუკრა თავი.

გვიან ღამემდე გასტანა, სანამ მიცვალებულებს ქვევით ტაფობში გადაიტანდნენ. მთიელნი უცებ ადრტვინდნენ, რაღაცას ჩუმად ბჭობდნენ ერთმანეთში. მოახსენეს სპასპეტს, — ჩვენ ვერ დავმარხავთ დახოცილთ, სად გაგონილა წმიდა მიწის წაბილწვა ცოდვილთა გვამებითო.

ციხიდანაც დაბრუნდნენ წარგზავნილები, — ჩვენ არ გვაწუხებს დახოცილები, რაც გინდათ ის უყავითო, — შემოთვალეს სპარსთა.

წარბი შეჰკრა სპასპეტმა.

— ერთად შეაგროვეთ და ცეცხლს მიეცით! — მკვახედ ბრძანა მან.

ამ ამბის გაგონებაზე სულ აღშფოთდნენ მთიელნი და გარეკახელნი, ვითარ იქნების ცეცხლის წარყენაო!

გაწყრა ჯუანშერ სპასპეტი, მაგრამ სიბრაზე დაიოკა: საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, სულ წყალში იყრებოდა ამდენი ნაჯაფი, ქრისტეს ჭეშმარიტი სჯული ძნელად იკიდებდა წვრილ ერში ფეხს.

— მე ჩემს თავზე ვიღებ თქვენ მიერ „ჩადენილ ცოდვათა“ სიმძიმეს. დე შე, ქრისტიანს, მომიზღონ სამაგიერო იმ ცრუსულებმა, — გატრიალდა და მეფის კარვისკენ გაემართა.

დაღვრემილი იჯდა ვახტანგი ტყავგადაფარებულ ლოდზე. ნიკაპი მუშტზე ჩამოედო და ნიდაყვით მუხლს დაჰყრდნობოდა. ჯუანშერის შესვლაზე წარბი ასწია და სპასპეტს პირდაპირ შეხედა.

— ციხეს კი გავტეხთ, მაგრამ ძვირად გვიჯდება, სპასპეტო...

გაუკვირდა ჯუანშერს; სხვისი თანდასწრებით თუ მიმართავდა ხოლმე ხელმწიფე მას ასე, წოდებით.

— ...ციხე შიგნიდან უნდა გატყდეს, — გაწყვეტილ ფიქრს განაგრძობდა ვახტანგი, — თუ როგორც მე ვფიქრობ, ისე მოხდა.

მეფე გაჩუმდა. სადღაც ცხენმა დაიხვიხვინა. ღამეს ღამეულთა ხმებიც ეპარებოდა. სადღაც ჭუჭუნკალიამაც მომართა თავისი ჭიანური. მტკვარიც აბუტბუტდა. „ბრძოლის ამბავს თუ იმახსოვრებს... მომავალ თაობათათვის“, — თავისდაუნებურად გაჰკრა გონებაში ჯუანშერს. უფერული ღიმილის მსგავსი რაღაც გამოეხატა სახეზე. ვერაფერი გაუგო მეფეს, ვერც მის ნააზრევს ჩასწვდა და ვერც მისი სახის იერი დალანდა.

ვახტანგი ნახევრად წამოწვა, ტყავგადაფარებული ლოდი თავქვეშ ამოიდო. კარავში მონა შემოიძურწა, შუა ბოძზე კვარი დაამაგრა. აფარფატდნენ, აროკდნენ ლანდები კარვის ჭრელ კედელზე. საიდანღაც ორი ფარვანაც გაჩნდა, ჯერ გაუბედავად დაიწყეს ალის ირგვლივ ტრიალი, მერმე უფრო გაბედულად მიაწყდნენ კვარს. მალე ძირს ჩამოცვივდნენ ფრთებატრუსული, ერთი უსულოდ დაეცა, მეორე ჯერ ისევ ასავსავებდა ფრთების ნამწვებს. თვალმოჭუტული უცქერდა ვახტანგი ფარვანების თავგანწირვას. ფიქრმობეზრებულ, დაღლილ გონებას ფარვანასავით დაჰფარფატებდა ფიქრი:

„...დიდ სურვილს ეწირება, დიდ წადილს, მაგრამ ამაოს, მისი დარდი არ ასვენებს, მისი დარდი ჰკლავს...“

— დიდი წადილი თავს გააწირვინებს კაცს სასახელოდ, დარდი კი უსახელოდ მოჰკლავს, ჰა, ჯუანშერ?

თავი ასწია გორგასლის სიყრმის მეგობარმა, ჯიქურ შეხედა მეფეს. იგრძნო, საუბარი მოსწყურებოდა, უბრალო, გულის მოსაფონებელი...

— მთლად ეგრე არ არის, მეფეო, — ეუბნება ჯუანშერ, — დარდი ყველაფერს როდი ერევა.

— მაშ როგორ არის, ჯუანშერ ჩემო, — თვალი მილულა მეფემ.

— მახსოვს, ჩემს მამამძუძეს, ჰერეთისა და კახეთის დიდ ერისთავს, კარზე ერთი სვეგამწარებული კაცი ჰყავდა ხუმარას დარად, იმან იცოდა ეს არაკი.

კარავში უხმოდ შემოვიდა „გორგასლის ყური“, პირადი მცველი მატყთა და იქვე კართან ჩაიმუხლა.

— „დიდი ზეიმი ჰქონდაო მზეთუნახავ ბუნებას. უხვად გასცა საბოძვარი: სიცოცხლე და სიყვარული, სიხარული და ბედნიერება, სიკეკლუცე და სინარნარე, სიუხვე და ბარაქა, და ბოლოს დაღლილმა მოსასვენებლად თავის სავანეს მიაშურა. დაცარიელებულ საგანძურში ერთი პატარა შავი ყუთი შენიშნა მზეთუნახავმა. მეჭურჭლეთუხუცეს დედამიწას ჰკითხა, ეს რა არისო.

— დარდიაო, დედოფალო, — მიუგო მან.

შეწუხდა მზეთუნახავი. სევდიანი იერი დაედო მწყაზარ სახეზე. ვისთვის მიეცა? ვინ გაემეტებინა, მძიმე დარდი შემოაწვა გულზე.

მთის ჩქარ მდინარეში მოისროლა კუპრის ფერი ყუთი, ის გაუძლებს, სადმე გარიყავს, მომაშორებსო...

აფორიაქდა მთის ბროლივით წმიდა მდინარე. შავად აემღვრა ანკარა წყალი. მოდიდდა, მოსკდა, წალეკა მთა და ბარი, დალეწა ხიდები, დაახრჩო პირუტყვი და... დაშრა, დარდს გადაჰყვა.

უფრო ძლიერ დაღონდა ბუნება მზეთუნახავი. — სალ კლდეს მიუგდეთ შავი დარდი, მის პიტალო გულს ვერას დააკლებსო.

ატორტმანდნა სალი კლდე, ავად აგრუხუნდა, გავარვარებულ ლავად ამოანთხია ბოღმა და ნაღველი. დასწვა, დაფერფლა გარემო, ნაცარტუტად აქცია, იბორგა, იშფოთა და... ქვიშად ჩამოშალა დარდისაგან დაღრღნილი, მტვრად იქცა, გასწორდა მიწასთან.

ზარი დაუდგა მზეთუნახავ ბუნებას. სევდით დაეღარა სახე და შავი ყუთი თავის ყველაზე პატარა და ყველაზე გონიერ პირმშოს, ადამიანს მისცა.

ავაგლახდა ადამიანი, ჩამოიხოკა თავპირი, ცრემლად დაიღვარა, აღარ იცოდა ვის სცემოდა სასოწარკვეთილი...

გავიდა დრო.

— რა უყო დარდმა ადამიანს? — იკითხა ბუნებამ.

— არაფერი, შეეგუა, მბრძანებელო, — მიუგეს მზეთუნახავს“.

სპასპეტი გაჩუმდა. კარავში ჩამოწოლილი დუმილი საამოდ ელამუნებოდა ყურთასმენას. მერმე შორიდან ჩოჩქოლის ხმამ მოაღწია. კარავში მყოფთ ყური მიუგდეს. ხმაური გაძლიერდა, ჯერ ღრიანცელად იქცა, შემდეგ საერთო ღაღადად. მატყთა კარვიდან გაქრა. ვახტანგი ადგა და გარეთ გავიდა. ჯუანშერიც მიჰყვა. შეშფოთებულ მცველებს ტაფობისკენ მიეპყროთ თვალი. მალე მაცნემაც მოაგდო ცხენი, დაქვეითდა და მეფეს თაყვანი სცა.

— რაო? — იკითხა მეფემ.

მოსულმა სული მოითქვა და სხაპასხუპით მიაყარა:

— სასწაული, მეფეო, სასწაული... ის-ის იყო ორმოში პირველი ცხედარი ჩავასვენეთ, რომ წყალმა გამოჭონა ძირიდან, შემდეგ კი იფეთქა და მდუღარე შემოგვასხურა, აქეთ-იქიდანაც დასკდა წყალი, სულ აქაფქაფებული მტუტე ტალახი ამოასხა, დაფრთხა ლაშქარი, მთიელთ კი ლოცვა აღავლინეს, — ბილწს იბანსო დედამიწა... წყალი კი მოდის და მოდის, მოქაფქაფებს...

მეფემ კოპები შეჰყარა, შემდეგ შუბლზე ხელი გადაისვა. ჩოჩქოლმა და დავიდარაბამ იმატა. მალე მას საბურვლის ჟღრიალი, ხმალთა ჩახჩუხი და დამფრთხალ ცხენთა ჭიხვინი შეერია. უცებ ბრძანა მეფემ: — ცხენი! — ბრძანა და მატყთაც მოვარდა. უკან მხედართმთავარნი მოჰყვნენ.

— მეციხოვნენი გამოგვიხტნენ, მეფეო, ჩვენი მოწინავენი აჰკაფეს, ხელჩართული ბრძოლაა. დაღლილნი, ძილ-ბურანში მყოფნი ძლივს იქნევენ ხმლებს. დიდი ლაშქარი არ უნდა იყოს, — მოახსენა მატყთამ.

მეფე გაირინდა. სახეზე ეტყობოდა, რომ სწრაფად მუშაობდა მისი გონება, თვალები უელავდა.

— დადგა ჟამი გამარჯვებისა! — მტკიცედ თქვა ბოლოს. — მე და ერისთავი ბივრიტიან ციხისკენ დასახევ გზას მოვუჭრით გამომხდართ, ვეცდებით ცოცხლად შევიპყრათ ერთი ჯგუფი; არტავაზ!

— გახლავართ, მეფევ, — წინ წარსდგა ახოვანი რაინდი, საურმაგ სპასპეტის ძე, ძუძუმტე მეფისა.

— არ შეაწყვეტინო ლაშქარს ომი, სოდომ-გომორი ბრძოლის მოთავების შემდეგაც. ჯუანშერ სპასპეტი და სამნაღირ ერისთავი მთიელთა ლაშქრით მდევრად დაგვედევნება, როცა ჩვენ უკან დავიხევთ ციხისაკენ. გასაგებია?!

გაშტერებულნი შეჰყურებდნენ ერისთავნი თვალაბრიალებულ მეფეს.

— დატყვევებულ მტრის ლაშქრის ჯგუფს ჩვენს ნებაზე დავიყოლიებთ. ჩვენი მხედრები მტრის მებრძოლთა წამოსასხამებითა და მუზარადებით შეიმოსებიან. მათთან ერთად დავიხევთ ციხისაკენ, კარს რომ გაგვიღებენ, შიგნით შევიჭრებით და აღარ მივცემთ კარიბჭის ჩარაზვის საშუალებას, და მაშინ მოგვისწრებს კიდეც მდევარი — მთიელთა ლაშქარი.

მეფე გაჩუმდა, თვალი მოავლო ყველას და დასძინა: ეს ყველაფერი ელვის სისწრაფით უნდა მოხდეს. ღვთის შეწევნით.

სწრაფად დაიშალნენ ერისთავნი ბრძანების ასასრულებლად. იმატა ომის ღრიანცელმა. ირგვლივ უკუნეთი სიბნელე იდგა: ამაოდ ცდილობდა პირმკრთალი მთვარე გამოცურებულიყო ჩაშავებული, ყომრალი ღრუბლებიდან. ზოგჯერ ღრუბელი დაბასმული ლეჩაქივით გაცრიაგდებოდა, გამოაჭყვეტდა მთვარეს, მაგრამ ისევ მალე შეიკრავდა პირს და შავი ჩადრივით აეფარებოდა სახეზე. ლანდებივით მიიპარებოდა რჩეული მხედრობა უსიერ ტევრში. მდინარის პირას, მთის ფერდობთან გამოვიდნენ ტყიდან. ვახტანგმა ცხენი შეაყენა. ახლა უკანა მხრიდან ისმოდა ბრძოლის ხმა. გზა მოჭრილი იყო. ოტებულ მტრის მხედრობას აქეთ უნდა ჩავლო. მოხერხებულად ჩასაფრდა ქართველთა ლაშქარი. იმატა აყალმაყალმა, დგანდგარით მოახლოვდა უკანდახეული მხედრობა. გამოჩნდნენ ოტებულ მხედართა ჯგუფებიც, სოლივით შეიჭრნენ საფარში მსხდომი ლაშქრის შუა და ყიჟინა დასცეს ჩასაფრებულებმა, კლდესავით აღიმართნენ სამი მხრით. მეოთხე მხრიდან მთიელთა ლაშქარი უტევდა. მალე დამთავრდა ბრძოლა. მომხდურმა მეციხოვნეებმა ფარ-ხმალი დაჰყარეს. მხოლოდ ერთი ჯგუფიღა განაგრძობდა თავგანწირვით ბრძოლას, მაგრამ ისინიც მალე დასცეს ძირს გათოკილნი. ბრძოლის ზრაილს არ წყვეტდნენ არტავაზის მხედრნი, ყასიდად უხათქუნებდნენ ერთმანეთს ხმალ-შუბებს ფარებსა და მუზარადებზე.

სწრაფად ჩამოქვეითდა თვით მეფე, ჩამწკრივებულ ტყვეებს შეავლო თვალი. არწივულად, მაღლიდან დაჰყურებდა გოლიათი მეფე დამარცხების სიმწრისაგან წელში გატეხილ მეომრებს. თავაწეული მხოლოდ ორიოდე სპარსი იდგა. უფრო ახლოდან შეათვალიერა მეფემ ტყვენი. მდიდრული აბჯარი ესხათ. ვარსკვლ პატიაჯშის ძმისწული, ჯოჯიკის-ძე შეიცნო. სპარსულად გაესაუბრა. მოკლედ უბრძანა რასაც ითხოვდნენ მათგან, სიცოცხლე და თავისუფლება აღუთქვა. უარი მიიღო. — ცხენით! ბრძანა ვახტანგმა, ელვის სისწრაფით მოახტა ჯაფიერს, ბივრიტიანს მიუბრუნდა და სპარსულადვე უბრძანა დინჯი ხმით:

— თავი მოჰკვეთეთ!

გმინვა აღმოხდათ ტყვეებს. ვიღაცებმა ბღლანძუნი გაბედეს.

— ჯერ მაგათ მოჰკვეთეთ თავები, — ბრძანა ჯუანშერმა. მიუხვდა მეფის განზრახვას სპასპეტი. ისიც იცოდა, ტყვეთა დახოცვას არ აპირებდა ვახტანგი. მათი მხოლოდ დაშინება უნდოდა. დრო აღარ ითმენდა. მთავარემ ერთი პირობა როგორც იქნა დააღწია ღრუბლებს თავი და გაცრეცილი შუქი მოჰფინა თამბოკვეთილ გვამებს. თავწაჭრილი მამლებივით ხტოდნენ მიწაზე თავწასხეპილნი. კისრებიდან თითის სიმსხო ნაკადად ასხმოდა სისხლი.

ჯოჯიკის ძემ რამოდენიმე ნაბიჯი წარსდგა მეფისაკენ. მთვარის შუქზე მკვდრის ფერი დასდებოდა ისედაც ფერწასულს. ახლად შეღინღლილი ნიკაპი უთრთოდა ასხლტილ ვაჟკაცს.

— ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი, — მიმართა მეფეს. ვახტანგი არც შერხულა, მისთვის არც კი შეუხედავს, ჯუანშერს ეუბნება.

— ჰკითხე, რა უნდა.

ისევ ჩამოქვეითდა სპასპეტი. ტყვესთან ახლოს მივიდა.

— რას მპირდებით სამაგიეროდ, — ძლივს ამოღერღა ტყვემ.

— სიცოცხლეს და თავისუფლებას.

— ჩემი ოჯახითურთ?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ნოემბერი ნომერში

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔᲡ

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

ᲘᲬᲧᲔᲑ ᲐᲛ წერილს „სამშობლოს ხმაში“ არც უნდა ებეჭდავდეთ. ბევრი იფიქრებს: ბიჭი საქართველოში დაიკარგა და საზღვარგარეთ რას ეძებენო. მაგრამ არის მიზეზი, რომელიც გვაიძულებს ასე მოვიქცეთ. ეს არის დედის გული.

დედის გულს შეუძლია მთელი ქვეყნის სიყვარული დაიტიოს, მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი მასში მაინც შვილს უჭირავს. აზრი მისი სიცოცხლისა შვილისადმი სიყვარულში, მისი ბედნიერებისათვის თავგანწირვაში მდგომარეობს.

თამარ მუშტარაულლებანიძეს კარგად არც ახსოვს, ვინ ურჩია ჩვენთან მოსვლა, როცა დავუდასტურეთ, რომ მართლაც ვაქვეყნებთ განცხადებებს უგზოუკვლოდ დაკარგულთა ძებნის შესახებ, მუდარით ქინაღამ ფეხქვეშ ჩაგვივარდა საბრალო ქალი. ეს ამბავი ჩვენთვის გასაკვირველი არ უნდა ყოფილიყო, რადგან კვირა არ გავა ისე, რომ მსგავსი სცენის მნახველნი არ გავხდეთ — აქ ხშირად ტირიან ომში დაკარგულთა დედები. ყოველი ასეთი შეხვედრა საკუთარი ნერვების დაძაბვად და ხშირად ცრემლებადაც გვიჯდება ხოლმე — შეუძლებელია გულგრილად უსმინო შვილის მოლოდინში გაჭაღარავებული დედის ხვეწნა-მუდარას.

ჩვენი გაკვირვება სულ სხვა რამემ გამოიწვია: ქალი, რომელიც შვილს დაეძებდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მას სამამულო ომში არ დაჰკარგვია საყვარელი ვაჟი.

ნუგზარ შალვას-ძე ლებანიძე, მცხოვრები ქ. თბილისში სუმბათაშვილი-იუჟინის ქ. № 2ა, 1965 წლის 18 მაისს გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა. იმ წელიწადს შეუსრულდა 18 წელი. იმ წელიწადს, სრულუფლებიანი მოქალაქის პასპორტთან ერთად საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობაც უნდა მიეღო. მის წინ იშლებოდა ახალი სამყარო, დამოუკიდებელი ცხოვრების დიდი სარბიელი.

ნუგზარმა იჩქარა. მან აღარ უცადა მშობლების თანხმობას, აღრე წავიდა სახლიდან, წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

ხდება ხოლმე მსგავსი რამ ასეთ ასაკში, როცა ირგვლივ ყველაფერი მოსაწყენი, უფერული გეჩვენება ადამიანს. მაშინ ოცნებას შორეული მხარეები ეზმანება. რამდენი რამ არის ცხოვრებაში სახიფათო, მაგრამ მეტისმეტად საინტერესო! რა სჯობია საოკეანო გემით უცხო ქვეყნების შემოვლას ან გეოლოგებთან ერთად გაუკაცავი გზებით სიარულს! ფათერაკები კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას ანიჭებენ ცხოვრებას ახალგაზრდის თვალში.

ეს საუკეთესო მოსწავლე და საყვარელი შვილიც იქნებ სწორედ ამიტომ წავიდა სახლიდან! წავიდა და იმაზე აღარ უფიქრია, თუ რა სამუდამო სატანჯველი გაუჩინა მშობლებსა და მახლობლებს.

სახლში მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე დაწერილი პატარა ბარათი მიიღეს რამდენიმე დღის შემდეგ: **ნუ მეძებთ, ნუ მელოდებით. ჩათვალეთ, თითქოს არასოდეს გყოლოდეთ...“**

ძნელი იყო მშობლებისათვის ამ სურვილის შესრულება, შეუძლებელი იყო დაევიწყებინათ საყვარელი პირმშო.

და აი ორი წელიწადია ეძებენ. ეძებენ დღითა და ღამით, ეძებენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ასობით ქალაქი შემოიარეს, ათასობით წერილი მიიღეს სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ მათ შორის არ არის ყველაზე უფრო სანატრელი — წერილი ნუგზარისაგან.

ჩვენს წინაშეა დედის თხოვნა დაწერილი ცრემლით:

„გთხოვთ ყველას, ვისაც შეგიძლიათ, დაგვეხმარეთ, გაიზიარეთ ჩვენი გულის ტკივილი. მოიგონეთ თქვენი შვილები, თქვენი შვილები. წარმოიდგინეთ, რა ძნელია, როცა შვილი, თუნდაც ერთი დღით, არ მოდის სახლში. ჩვენ კი აგერ ორი წელიწადია ღამეებს ვათენებთ მის მოლოდინში. ხან მკვდარი გვგონია საყვარელი შვილი, ხან რაღაც ჭორი იმედს გვაძლევს, სოფლიდან სოფელს ვაწუდებით, ქალაქიდან — ქალაქს, მაგრამ მის მნახველსაც კი ვერსად მივაგენით. ყველას გთხოვთ უმორჩილესად: გვაცნობეთ მისი ამბავი, მისი ადგილსამყოფელი. ნუგზარი ხომ ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა ეს საბედისწერო ნაბიჯი გადადგა. აუხსენით, უთხარით, რომ ჯერ კიდევ შეიძლება შეცდომის გამოსწორება, დაუბრუნდეს თავის კერას, თავის გამწარებულ მშობლებს, იხსნას თავისი თავიცა და ჩვენც გაუბედურებისაგან.

შეიძლება ეს წერილი თვითონ ნუგზარმა წაიკითხოს.

შვილო ნუგზარ! ჩვენო ერთადერთო იმედო! მოიგონე, შვილო, შენი უბედური დედა, მამა და დაიკო. რომ იცოდე, როგორ გვენატრები, როგორ მინდა მკერდში ჩაგიკრა და ძველებურად გითხრა: „ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო ბაჭი!“ ნუთუ ყველაფერი დაგავიწყდა? ნუთუ ჩვენი სიცოცხლე დამთავრდა? შენ ხომ გულისხმიერი ბიჭი იყავი, მახლობლებისა და მეგობრების მოყვარული. შენი თანაკლასელები ყოველ საღამოს მოდიან ჩვენთან, გკითხულობენ, დაგეძებენ, ჩვენთან ერთად მოგელიან.

ბევრი რამ ხდება საოცარი ცხოვრებაში, შვილო. ასეთი შეცდომა სხვასაც მოსვლია ახალგაზრდობაში. მაგრამ გამოუსწორებია, დაბრუნებულა თავისიანებთან და კვლავ ტკბილად გაუგრძელებია ცხოვრება. სამშობლოს არაფერი სჯობია, შვილო! ჯერ პატარა ხარ, გენაცვალე, და შეიძლება ეს კარგად არ იცოდე. დაფიქრდი საყვარელო, მშობელი შვილს არასოდეს არ ულალატებს. მშობელი ბევრ რამეს აპატიებს საყვარელ პირმშოს, სანამ ძალიან გვიან არ იქნება, დაბრუნდი შენს ლამაზ თბილისში, შენს კერაზე დაბრუნდი შვილო!



გენაცვალოს დედა! უშენოდ ჩვენი ეზო-კარიც ტირის, უშენოდ ჩვენს ცხოვრებას მიზანი დაეკარგა, შვილო! მოდი ბაჭი, მოდი ჩემო საყვარელო, ჩემო ერთადერთო ბიჭო! თუ რამე გიშლის ხელს, მოგვწერე, ქვეყნის კიდეზე რომ იყო, იქაც მოვალ შენთან, ჩემო კარგო, შეიბრალე დედა, შეიბრალე მამა, შეიბრალე შენი დაიკო ნანული, ნუ გაგვიმწარე სიცოცხლე, ხმა მოგვაწვდინე, შვილო...

თამარ ივანეს ასული მუშტარაული -ლებანიძე“

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ გული დედისა, გული, რომელსაც მთელი ქვეყნის სიყვარული შეუძლია დაიტიოს, მაგრამ ამ სიყვარულშიც ყველაზე დიდ ადგილს მაინც თავის სისხლსა და ხორცს, თავის შვილს უთმობს. ეს გული პირველ ყოვლისა შვილის სიყვარულით, მისი ბედნიერებისათვის თავგანწირვის სურვილით ფეთქავს.

გ. რთველიაშვილი.


• • •

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ თქვენ ხედავთ ნუგზარ ლებანიძეს თავის დედასთან თამარ მუშტარაულლებანიძესთან ერთად.

• ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ •



ფუნიკულიორის ზედა სადგური ჭინათ.



ფუნიკულიორის ზედა სადგური ამჟამად.

სპორტული მიმოხილვა

საკავშირო სპარტაკიადა. მოსკოვში სტარტი აიღო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადამ. ქართველი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. სტარტი აიღეს ნიჩბოსნებმა, ფრენბურთელებმა, მალე სპორტულ პაექრობებში ჩაებმებიან მოცურავეები, მძლეოსნები, ფეხბურთელები. უკვე გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულებიც. ბაიდარებითა და კანოეთი მოასპარეზე ნიჩბოსანთა შეჯიბრებაში თავი ისახელა ქართველმა სპორტსმენმა ა. მანტკავამ, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა. იმარჯვეს ქართველმა გოგონებმაც — ორმოსასმელიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე ცურვაში მათ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ეს იყო ამ დიდი სპორტული ზეიმის უვერტიურა.

სპორტულ მიმომხილველთა უმეტესობა საქართველოს გუნდს სპარტაკიადის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევს.

ფეხბურთი. სეზონის გათამაშების მეთექვსმეტე მატჩი თბილისელებმა მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსთან“ გამართეს. აღსანიშნავია, რომ მოსკოვის „დინამო“ — საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი წელს დიდი აღმავლობით თამაშობს, მატჩს მატჩზე იგებს და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია. თბილისელ და მოსკოველ თანაყლებელთა შეხვედრა ყოველთვის იწვევდა სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს, მაგრამ წლევანდელ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორივესათვის. მოგების შემთხვევაში მოსკოველები უკვე 4-5 ქულით გაუსწრებდნენ ლიდერებს თბილისისა და კიევის დინამოელებს. თბილისელები კი უფრო მიუახლოვდებოდნენ პირველ ორეულს. მოსკოველთა გუნდი დიდი მოწინააღმდეგით იბრძოდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. პირველ ნახევარში გ. ნოდიას მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გაარჯვება მოუტანა თბილისის „დინამოს“. ქართველმა ფეხბურთელებმა 21 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

ქუთაისელი ფეხბურთელები მეთორმეტე ადგილზე იმყოფებიან. ბოლო ორ გასვლით მატჩში ქუთაისელებმა 4 შესაძლებლიდან 3 ქულა აიღეს. მოუგეს „პახტაკორს“ — 1:0 და ფრეს დასჯერდნენ „კაირატთან“ — 1:1.

თავისუფალი ჭიდაობა. სტამბოლში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ფალავნები. ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა თბილისელმა ზ. ბერიაშვილმა (მსუბუქი წონა). ევროპის ჩემპიონი შ. ლომიძე (ქვემძიმე წონა) ამჯერად მეორე ადგილზე გამოვიდა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ძიუდო. ვენაში ავსტრიის მუშათა სპორტული კავშირი 75 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში, რომელშიც ევროპის უძლიერესი ძიუდოისტები მონაწილეობდნენ, ოქროს მედალი მოიხვეჭა ქართველმა მოჭიდავემ ა. ზურაბაულმა, მეორე ქართველმა ათლეტმა ა. ქიბაროწაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

პ. რამიშვილი.











დაგეძებენ, მოგელიან

დავით სარირდონის-ძე გორგოძეს, დაბადებულს 1918 წელს ქ. ზესტაფონში, ეძებენ მეუღლე — ტატიანა ივანეს ასული გორგოძე, შვილები — ეთერი, ნუნუ და ღუღუნი გორგოძეები.

ალექსანდრე თევდორეს-ძე გოლძაძეს, დაბადებულს 1916 წელს სოფელ ნატანებში (ბახარაძის რაიონი) ეძებს და — მარგო იასონის ასული გოლძაძე.

პავლე ილიას-ძე ჩხაიძეს, დაბადებულს 1920 წელს ლანჩხუთში, ეძებენ დედა — ბარბალე, და — ლენა ჩხაიძეები.

გივი ვასილის-ძე ებრალიძეს, დაბადებულს 1917 წელს ლანჩხუთში, ეძებენ მშობლები — მარო და ვასილ (ვასო) ებრალიძეები.

სვერიან (ბაბულა) კონსტანტინეს-ძე კაშიას, დაბადებულს 1916 წელს სოფელ ბაშში (საჩხერის რაიონი), ეძებენ დედა — მარიამ გიორგის ასული ლორთქიფანიძე, და — თამარი, ძმები — ვლასი და გიგლა კაშიები.

* * *

სურათებზე: სევრიან კაშია თავის დედასთან და დასთან ერთად. ზემოდან ქვემოთ — გივი ებრალიძე, ალექსანდრე გოლძაძე, დავით გორგოძე, პავლე ჩხაიძე.

ეს საინტერესოა

თემურლენგის ქართველ მეომართა ბედი

კახელები ინდოეთში? ეს თითქოს წარმოუდგენელია. და მაინც პროფესორ გ. ა. თვალჭრელიძე თუნდაც შემოგიცავთ, რომ როცა მანქანით დელიდან ბომბეიში მიდიოდა, ნახა ადამიანები, რომლებიც გარეგნობით, ჩაცმულობითა და მისვრა-მოსვრით თითქმის არ გამოირჩეოდნენ კახელებისაგან, თანაც ურმით მიდიოდნენ.

ამ ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა ინდოეთიდან მიიღო წერილი. გურგაოს კოლეჯის გეოგრაფიის ფაკულტეტის ხელმძღვანელი დოქტორი ხათანა იწერება, რომ უკვე რამდენიმე წელია, ჩრდილოეთ ინდოეთში სწავლობს გუჯარების ფრიად გავრცელებული ტომის ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს.

— გამოკვლევის დროს შევიტყვე, — იწერება ინდოელი მეცნიერი, — რომ ქართველები (ჩვენებურად გურჯები) არიან ისეთივე კულტურული ნიშნების მატარებლები, აქვთ ისეთივე ჩვეულებები, ტანსაცმელი, ფოლკლორი, ეწევიან ისეთსავე შრომითს საქმიანობას, როგორც გუჯარები. ეს ტომები გვხვდებიან რაჯასტანში, ჯამუსა და ქაშმირში, სივალიის გორაკების გაყოლებით და დასავლეთ პაკისტანში.

ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილების გამგეს პროფესორ ლევან მარუაშვილს განემარტა ინდოელი მეცნიერის ცნობა.

— რამდენიმე თვის წინათ, — თქვა პროფესორმა, — წავიკითხე ცნობილი იხვლისელი მონადირისა და მოგზაურის ჯიმ კორბეტის წიგნი „ტაძრის ვეფხვი“ და ყურადღება მივაქციე ავტორის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ ინდოეთში ჰიმალაის სამხრეთ კალთებზე ცხოვრობს ხალხი, რომლის მეტყველებაშიც გვხვდება ქართული სიტყვები. გარვალის პროვინციაში გაჩნდა სათვეებთან ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც მთის თხას უწოდებენ „თხარს“, ჯურს — „ჯურს“ და სხვ.

დამაინტერესა იმან, თუ როგორ მოხვდა ქართული ენის ელემენტები ინდოეთში? რატომ ხმარობს მათ ჰიმალაის ქედის მოსახლეობა? იქნებ ეს მესამე ენის გაელენის შედეგია?

ახლა ჯერ კიდევ არ შეიძლება საბოლოო პასუხის გაცემა ამ კითხვებზე, შეიძლება მხოლოდ გამოთქვას ჰიპოთეზა.

უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო შემდეგი: დასავლეთ ინდოეთში ცხოვრობს მრავალმილიონიანი ეროვნება „გუჯარეთი“. ეს მკვიდრი ინდოელი მოსახლეობაა და არ უნდა ავურიოთ გუჯარებთან — მათი ტომების დასახელების მსგავსება შემთხვევითია. ეს დაადასტურა აგრეთვე ინდოელმა მეცნიერმა სენ-გუფთამ, რომელიც ამას წინათ იყო საქართველოში.

მე მგონია, რომ „გუჯართა“ გადასახლება საქართველოდან არ შეიძლება შორეულ წარსულს მივაკუთვნოთ. ქართველებსა და ამ ტომებს შორის ჩაცმულობისა და ზნე-ჩვეულებათა დიდი მსგავსება, რასაც დოქტორი ხათანა აღნიშნავს, მოწმობს, რომ მათი გადასახლება ინდოეთში არ შეიძლება მომხდარიყო ანტიკურ ან უფრო ადრე პერიოდში.

ვფიქრობთ, რომ ქართველების გადასახლება ჩრდილოეთ ინდოეთში უნდა იყოს შუა საუკუნეების ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში უცხოელ დამპყრობთა მრავალ შემოჭრასთან. როგორც ჩანს, ეს მოხდა მონღოლთა ექსპანსიის ეპოქაში (XIII საუკუნე) ანდა, რაც უფრო მოსალოდნელია თემურლენგის ლაშქრობათა დროს (XIV საუკუნის დამლევს).

„ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ თემურლენგმა ერთ-ერთი პირველი ლაშქრობის დროს მესხეთის მოსახლეობის ნაწილს მაჰმადიანობა მიაღებინა. ამის შემდეგ 1397 წელს თემურლენგი თავისი ჯარით შევიდა ინდოეთში, დაიპყრო დელი და ინდოეთის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი.

სავსებით შესაძლებელია, რომ სამარყანდელმა მმართველმა ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიაზე დაასახლა გამაჰმადიანებული მესხები, რათა გაეხადა ისინი თავის დასაყრდენ სამხედრო ძალად.

ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ თემურლენგის მიერ ქართველების გადასახლებას ინდოეთში, არის აგრეთვე მთელ რიგ დასავლეთევროპელ მეცნიერთა ნაშრომებში.

ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა ბენიე ერთ-ერთ თავის შრომაში წერს:

„XV საუკუნეში ქართველებმა ინდოეთში სამი სამთავრო შექმნეს, რომლებმაც ორასი წელი იარსებეს, და რომლებსაც მართავდნენ ქართველთა დინასტიები...“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონტექნიკის კათედრის გამგე შ. ბებიაშვილი იხსენებს:

— ინგლისის ჯარები, რომლებიც 1918 წელს საქართველოში იდგნენ, შეიტყვეს შოტლანდიელებისა და ინდოელი სიპაებისაგან, ერთხელ მამაჩემმა მიამბო, რომ ერთ-ერთი ინდოელი ესაუბრა მას ქართულ ენაზე და თქვა, რომ ინდოეთში ბევრს ესმის ქართული.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ასეთი მაგალითი. საქართველოში დოქტორ ხათანის ჩამოსვლა, აგრეთვე ქართველი მეცნიერის მივლინება სპეციალურად გუჯართა ცხოვრების შესწავლისათვის ალბათ ფარდას ახდის ქართველი ხალხის ისტორიის კიდევ ერთ საინტერესო მომენტს.

ი. გოგოლაძე.

ჟურნალი საქართველო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30.83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საბჭოთა კავშირი

სარედაქციო კოლეგია